# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.— კვირა, 27 აგვისტო 1900 წ. № 1222

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.

## წარსული წლების ჟურნალი
## „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად, 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.

ადრესი: **RAPHAËL ISARLOFF.**
(5. 16 – 4) **Paris, rue des Ecoles, 40.**

**ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა**
## იწვევს მსურველთ
(ქალებს და ვაჟებს)
## სცენაზე სამსახურისათვის
(მსახიობებათ)

მსურველნი მიჰმართავენ ბ-ნს **ვ. გუნიას** საზოგადოების კონტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ-დღე, დილის თერთმეტ საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—6.—4)

## სკოლა და პანსიონი
### ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

**ადრესი:** ოლგინის ქუჩა (Ольгинская ул.), სახლი გოგნიევისა, ზემმელის აფთექის მახლობლად. (5—1)

ვაუწყებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ გაზეთ
## „ცნობის ფურცლის“
დაბარება **თვიურად** ან **მეტის ვადით** შეიძლება მხოლოდ თვის **პირველ** რიცხვიდან დამლევამდის.

## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ხვედრი გადასახადისა **უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.**

## დეპეშები
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**25 აგვისტო**

**პეტერბურგი.** დღეს ახლად დაარსებულ საზღვაო სამმართველოში გადაბრძანებული იქნა პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი და მინისტრის თანაშემწე სტიშინსკი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმუკა ოფიციალურად დაიხურა.

**კოპენჰაგენი.** დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა მეფეთა საგვარეულოთა და მათ უმაღლეს სტუმართა თანადასწრებით ჩაუშვა გემის „ბოიარინის“ (რომელიც ახლა კეთდება) პიდალოს მანქანის ქვეშ ვერცხლის ფიცარი სხვა-და-სხვა წარწერებით.

**ლონდონი.** დურბანიდან იტყობინებიან, რომ გუშინ ამხედრებულ ქვეითა ჯარის რამდენიმე დარაჯი ჩაუვარდათ ხელთ ჩასაფრებულ ბურებს და ტყვედ წაიყვანეს.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალოს ჯარი თავს დაესხა ქურთებს, რომელნიც ამ მოკლე ხანში დაეცნენ ინგლისის ვიცე-კონსულს ვანში. დამნაშავენი შეიპყრეს.

### სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ პარიზიდან იტყობინებიან შემდეგ ამბავს შეერთებულ ჯარების მთავარ-სარდლის დანიშვნის შესახებ: «როცა ჩინეთის არეულობა გაძლიერდა და სახელმწიფოებმა დიდ-ძალი ჯარების გზავნა დაიწყეს ჩინეთისაგენ, გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ გერმანიის საელჩოს საშუალებით გამოუცხადა საფრანგეთის მთავრობას: «თუ საფრანგეთი დანიშნავს თავის ჯარების უფროსად გენერალ ნეგრიეს, ყველა სახელმწიფოები, მათ შორის გერმანიაც, სიამოვნებით დაუმორჩილებენ თავიანთ ჯარებს სახელ-განთქმულ ოფიცერს». ეს განცხადება განხილულ იქმნა სამინისტრო რჩევაზე პრეზიდენტ ლუბეს თავმჯდომარეობით. მეტად ცხარე კამათის შემდეგ, რჩევამ დაადგინა არ მიიღოს გერმანიის მთავრობის წინადადება. ამის შემდეგ ვილჰელმ მეორემ დანიშნა ჯარების უფროსად გრაფი ვალდერზე».

∝ ხანკოუში მცხოვრებ გერმანელებს გაუგზავნიათ იმპერატორ ვილჰელმისათვის შემდეგი დეპეშა: «მის იმპერატორებით უდიდებულესობას, ბერლინში. მიუხედავად მეტად საშიშ კრიზისისა, იანცეში არ არის არც ერთი გერმანელი სამხედრო გემი, რადგანაც ჩრდილოეთისაკენ არ არის თავისუფალი გემები. რადგანაც გერმანელების ინტერესები თან და თან ვითარდებიან და ყურადღების ღირსნი არიან, ხანკოუში მყოფი გერმანელი ვაჭრები სთხოვენ თქვენს უდიდებულესობას ბრძანოთ, რათა გაგზავნილ იქნას ძლიერი ფლოტი იანცეს მხარეზე».

გერმანელმა ვაჭრებმა მიიღეს იმპერატორისაგან შემდეგი დეპეშა: «გერმანიის კონსულს გრ. იუნკვალდს, ხანკოუში. გადაეცით გერმანელ ვაჭრებს, რომ ხანკოუს დასაცველად მოვა იანცეს მხარეზე ცხრა სამხედრო გემი. ვილჰელმი, იმპერატორი და მეფე».

∝ ვილჰელმ მეორეს, როცა იგი დროშებს urიგებდა ჩინეთში მიმავალ ჯარებს, ასე დაუმთავრებია თავისი სიტყვა: «ჩვენ აღმოსავლეთში მყოფ ჯარებს ვქმნებათ დროშები, რომლის შეხედვის დროს მათ შეუძლიათ სთქვან: გერმანიის არწივი ჰშლის თავის ფრთებს. ეს ჯვაროსნული ომია. საერთაშორისო უფლება შებღალულია, კაცთ მოყვარეობის კანონი ფეხით გათელილია. აღმოსავლეთის ბარბაროსობა ამხედრდა დასავლეთის კულტურის წინააღმდეგ. ეს არწივი სიმბოლოა ძლიერებისა და სამართლიანობის, ერთგულების,

სარწმუნოების, განათლების და ზნეობრივ ძალის გამარჯვებისა. ევროპის ხალხნო, დაიცვით თქვენი უძვირფასესი საუნჯე». ეს უკანასკნელი ფრაზა გამეორებაა იმ ფრაზისა, რომელიც იმპერატორმა მოაწერა ამას წინეთ სიმბოლურ სურათს, რომელშიაც იმპერატორი აფრთხილებს ევროპიელებს ჩინელების წინააღმდეგ.

---

## ახალი ამბავი

✦ წარსულ კვირას ქალაქის გამგეობამ აღძრა კითხვა შესახებ სამუდამო საყასბოს აშენებისათვის გადადებულ ნახევარ მილიონის ხარჯის შემოკლებისა 350,000 მანეთამდე. ამის შესახებ აზრის გამოთქმა მიანდეს სასანიტარო რჩევას, რომელიც შესდგება გამგეობის ექიმებისაგან.

კითხვა, შესახებ სამუდამო საყასბოს აშენებისა, აღძრული იყო 1878 წ., როდესაც, მთავრობის განკარგულებით, აღიკრძალა ხოცვა საქონლისა თვით ქალაქში, რადგან შიში იყო სახადის გავრცელებისა. ჩვენში მაშინ გარდაწყვეტილი იყო დროებითი საყასბოს გაკეთება მამუკის სოფლის იქით, წყლის პირის დაახლოვებით—იქ, სადაც ახლაა. მაგრამ ეს დროებით, ხოლო სამუდამო საყასბოსათვის ადგილის აღსანიშნათ ბევრი თათბირი და მიწერ-მოწერა იყო, მანამ ერთხელვე და სამუდამოდ მთავრობის მოთხოვნილების თანახმად არ გადასწყდა, რომ ამისათვის ადგილი კანონითაც და გონივრულის მოსაზრებითაც უნდა იყოს ქალაქ გარეთ და ისიც ქვეითკენ. ამნაირი ადგილი მოძებნა ქალაქის გამგეობამ დაააგო კიდეც დროებითი საყასბო. ამასთანავე შეუდგა სამუდამო საყასბოს აგების ზრუნვას. ეს ზრუნვა გაგრძელდა 1897 წლამდე, ხოლო ამ წელს ქალაქის გამგეობამ შეადგინა უფრო სავსებითი მოხსენება რომელიც დამყარებული იყო ბ. შიმკევიჩის მიერ აგებულ გეგმაზე. ბ. შიმკევიჩმა ამაზე წინადაც შეადგინა გეგმა სამუდამო საყასბოსი, რომელიც 180,000 მან. უნდა ღირებულიყო, მაგრამ საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიებმა წუნი შესდეს და იმათ მოთხოვნილების თანახმად შედგენილი პროექტით ხარჯი საყასბოს ასაგებად ავიდა 400,000 მანეთამდე. ქალაქის საბჭომ მიიღო ეს, დაადგინა 500,000 მანეთის სესხის თხოვნა ამ საგნისათვის. ეს დადგენილება განხორციელდა. უმაღლესმა მმართველობამ ნება დართო სესხის ფურცლების გამოცემისა და ამ მოკლე ხანში გამოიცემა. ამას წინადაც გვქონდა ნათქვამი, რომ ქალაქის საქმეების მმართვაში დიდი სიფრთხილეა საჭირო და გამოცდილება, რომ, ერთის მხრივ, ქალაქი იქმნას გაუმჯობესებული და რომ, მეორეს მხრივ, ეს გაუმჯობესობა ლოდად არ დააწვეს ქალაქში მცხოვრებთა ჯიბეს და ამით მოსალოდნელი სიამოვნება არ ჩაშხამდეთ. კარგა ხანია ქალაქის ფინანსიური ანგარიშები და მისი ბალანსი ხელოვნურად კეთდება და დეფიციტების დასაფარავად სხვა და სხვა ფინანსიური მანიოვრები უხმარიათ. ამ ნიადაგზე წარმოებული საქმე გამძლე და მკვიდრი არ არის, და ამისათვის ქალაქის გამგეობა უნდა სცდილობდეს, რაც შეიძლება ნაკლებად ხარჯოს ფული, ისეთ საგანზე მეტადრე, რომელიც მაინცა და მაინც მიუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს იმ საჭიროებებთან შედარებით, რომლებიც ტფილისისათვის „არსებითი პურს“ შეადგენს. გარდა ამისა ქალაქის გამგეობა უნდა სცდილობდეს ისეთი ხარჯის მომატებას, რომელიც შემძლებელ მცხოვრებთ უფრო გადახდებათ.

ნახევარ მილიონად ღირებული საყასბო ტფილისისათვის იმას ჰგავს, რომ ფეხშიშველა, ღარიბს, მშიერს, ჩააცვათ მხოლოდ საუკეთესო ტილოს პერანგი და თავზედაც კასრის ქუდი დახუროთ. როგორც ეს მეტია ჯერ მისთვის, ვიდრე არ გააძღობთ და ფეხსაც არ შემოსავთ, გონების საზრდოს არ მისცემთ, აგრეთვე მეტია ტფილისისათვის ნახევარ მილიონიანი საყასბო, ვიდრე ტფილისში არ არის საკმარისად სასწავლებლები, ურომლისოდაც ათი და ათი ათასი ბავშვი რჩება უსწავლელი, ვიდრე არ არის საკმარისად საავადმყოფოები მრავლად, ღარიბთა თავ-შესაფრები, სანიტირულის მხრივ რიგიანი უბნები, რიგიანი ქუჩები, რიგიანი განათება, რიგიანი ბაზრები, სადაც შეიძლებოდეს სოფლებიდან მოსული სანოვაგის დაწყობა და პირდაპირ მომხმარებელზე გაყიდვა, საწყობები მათთვის და სხვა მრავალი რაიცა ხელს შეუწყობდა ქალაქის მცხოვრებთ როგორც გონებრივ, აგრეთვე ნივთიერ განვითარებაში. დიდი დანაშაულობაა დახუჭვა თვალებისა იმაზე, რაც არსებით საჭიროებას შეადგენს. გარდა ამისა ამნაირი გამშვენიერება“ ქალაქისა იწვევს მეტს გადასახადს, რომელიც დიდად შესამჩნევია ღარიბთათვის. გადასახადი ხარჯი საქონლის დახოცვაზე დადებული ერთი ორად გახდება ეს იმოქმედებს ხორცის ფასზედ—ძროხის ხორცზე ფუთზე 10 კაპ., ცხვრისაზე გირვანქაზე ნახევარ კაპეიკი, ღორისაზედაც ნახევარ კაპეიკი და სხვა. ამნაირად მცხოვრებთა ჯიბეებიდან წელიწადში 70,000 მან. უნდა ამოვიდეს მხოლოდ იმისათვის, რომ სთქვან: „ტფილისშიაც ისეთი საყასბოა, როგორც ბერლინშიო“, სხვაფრივ კი დაქვეითებულნი უნდა დარჩნენ. ჩვენის აზრით, ქალაქის გამგეობას შეეძლო ჯერხანობით აესრულებინა მხოლოდ ნაწილი იმ გეგმისა და აეშენებინა მხოლოდ საკლავი ოთახები, დანარჩენი ფული კი მოეხმარებინა მთავრობის ნებადართვით სხვა უსაჭიროეს საგნებზე.

✦ გუშინ ტფილისის კათოლიკეთა ეკკლესიაში გადახდილ იქმნა **პანაშვიდი იტალიის მეფის ჰუმბერტის სულის მოსახსენებლად.** პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივ ადმინისტრაციისა, ქალაქისა და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი და დიდძალი საზოგადოება.

✦ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ადგილებიდან მეტად ცუდი ამბები მოდის **წრევანდელ მოსავლის შესახებ.** წვიმიანმა და ნოტიო ზაფხულმა დააზარალა მოსავალი. პური ჩალპა ყანებში და ვინც მოასწრო მომკა, ის-კი ვეღარა ლეწავს უამინდობისა გამო. დაზარალდა აგრეთვე ვენახები, რომელთაც გაუჩნდა წვიმისაგან ბევრნაირი ავადმყოფობა.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მიუმართავს თხოვნით ადგილობრივ სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათათვის, რომ მათ დანიშნონ თავისი წარმომადგენლები იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს **კავკასიის მომავალ სამეურნეო გამოფენის პროგრამის შემუშავება.** როგორც გავიგეთ, ამ კომისიაში დაუნიშნავთ თავის წარმომადგენლებად ტფილისის ქალაქის გამგეობას თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი და ტფილისის სამეურნეო ბანკს—თავ. ვ. ს. მიქელაძე.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მიჰმართა თხოვნით ტფილისის ქალაქის გამგეობას, რათა დაეთმოს მას დროებით მთელი ალექსანდრეს ბაღი განზრახულ **სამეურნეო გამოფენისთვის.** საბჭოს აზრით, სხვა გამოსადეგი ამ საქმისთვის ადგილები ვერ აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნილებას, რადგანათ ზოგი მათგანი შორს არის შუაგულ ქალაქზე, ზოგიც პატარა არის. ალექსანდრეს ბაღი გაზომვის შემდეგ აღმოჩნდა 9000 ოთხ-კუთხი საჟენისა. ამ რიცხვიდან 3000 ოთხ-კუთხი საჟენი უჭირავს გზებსა და პატარა მოედნებს; თუ ამ რიცხვს მოვუმატებთ ლორისმელიქოვის ქუჩას ქვაშვეთის ეკკლესიის შენობამდე, მივიღებთ 3600 თავისუფალ ოთხ-კუთხ საჟენს, რომელიც სრულიად საკმარისი იქნება გამოფენისათვის. სამეურნეო საზოგადოებას ჰსურს ამასთანავე ამ საგნისთვის გამოიყენოს საზოგადოების სადგომი და აგრეთვე სამხედრო მუზეუმის შენობა. ბაღი განათებული იქნება ელექტრონით და შიგ გაიმართება სეირნობა, კონცერტები, წარმოდგენები და სხვა. საზოგადოება სთხოვს გამგეობას წარუდგინოს მისი თხოვნა ქალაქის საბჭოს და ამასთანავე დასძინოს, რომ თუ ვინიცობაა გამოფენისთვის საბჭო არ დაუთმობს ალექსანდრეს ბაღს, საზოგადოება ჩავარდება მეტად საძნელო მდგომარეობაში.

✦ „ნოვოე ობოზრ.“-ის გუშინდელ №-ში დაბეჭდილია ალ. ხახანაშვილის წერილი, რომლიდგანაც, სხვათა შორის, სჩანს, რომ პარიზის გამოფენაზე ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს ბ-ნს რ. ისარლიშვილს მიუცია სადაც ჯერ არს თხოვნა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა** პარიზის აღმოსავლეთ ენების სასწავლებელში.

✦ რადგანაც ბაქოში ბოლოს დროს ძალიან იმატა ნავთის წარმოებამ, ამიტომ მოსალოდნელია **ნავთის გაიაფება.** ივლისის განმავლობაში სულ ამოიღეს 62,000.000 ფუთი ნავთი, მაშინ როდესაც ივლისში მხოლოდ 43.000.000 ფუთი იყო ამოღებული.

✦ პროფ. დოკუჩაევის თავმჯდომარეობით შემდგარი საგანგებო კომისია ამ მოკლე ხანში შეუდგება ბათუმის ოლქში **ნიადაგთა** შესწავლას.

✦ **გორის საქალაქო სამმართველოში** აღძრულია კითხვა 1) გორში საქალაქო საავადმყოფოს დაარსების შესახებ, 2) საქალაქო ექიმის თანამდებობის დაარსების შესახებ და 3) ქალებისათვის და ვაჟებისათვის პროფესსიონალურ სკოლების დაარსების შესახებ.

✦ წელს ტფილისის **მესამე გიმნაზიის მოსამზადებელ კლას**ში ნაკლებად მიიღებენ მოწაფეთ, რადგანაც განზრახულია მომავალ წლიდან გააუქმონ პირველი კლასის პარალელური განყოფილება.

✦ **უსარცხვილო რეკლამამ** სწავლა-განათლების საქმეშიაც იჩინა თავი!... გუშინ გოლოვინის პროსპექტზე გამვლელთ ურიგებდნენ პატარა წითელ-ყვითელ აფიშებს,

რომლებზედაც დაბეჭდილი იყო შემდეგი: „5 მანეთად თვეში მასწავლებელი, რომელსაც სწავლის დამთავრების და ბუჰგალტერიის შესწავლის ატესტატები და გარეთვე მშობლების მიერ მოცემული ქების ფურცელი აქვს ნოტარიუსისაგან შემოწმებული, ამზადებს 1-ლ კლასში; დანარჩენ კლასებში და აგრეთვესაიუნკრო სასწავლებელში—შეთანხმებით და სხვა“. რომელმა გონიერმა მშობელმა უნდა მიაბაროს ბავშვი ასეთ თავხედ პედაგოგს, რომელსაც სწავლის საქმე საპულო საქმედ გარდაუქცევია?!

✦ სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, უმთავრესს სასულიერო უწყებაში აღუძრავთ კითხვა საეპარქიო სამღვდელოებათა კრებების წეს-რიგის შეცვლის შესახებ.

✦ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია დააარსოს სხვა-და-სხვა ქალაქებში რვა სატეხნიკო სასწავლებელი.

✦ მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ახლად დამდგარ სამოსწავლო წლიდან არსდება ინგლისურ ენის კათედრა.

✦ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ ყოველ სამგზავრო მატარებელში უთუოდ უნდა იქმნას პატარა აფთიაქი და უნდა იყოს ერთი ფელდშერი.

✦ რამდენიმე უცხოელ კაპიტალისტს განუზრახავთ დაარსონ ტფილისში საგანგებო კანტორა კავკასიის სამანერალო წყლებით ვაჭრობის და საზღვარ გარედ გაზიდვისათვის.

✦ სექტემბრის პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამოვა 50-მდე ფრანგი-სტუდენტი, რომელნიც მოგზაურობენ ამ ზაფხულს რუსეთში.

✦ თელავიდან გვწერენ: ხუთშაბათს, 17 აგვისტოს, თელავის კლუბის დარბაზში გამართულ იქმნა წარმოდგენა ქ-ბნ საფაროვ-აბაშიძისა და ვლ. ალექსეევ მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოადგინეს ორი პიესა: 1) „შეშლილია“ კომ.-დრამა 3 მოქმედ. თარგმ. აბაშიძისა და 2) „ბიძიასთან გამოხუმრება“ ვოდ. 1 მოქ. რ. ერისთავისა.

ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი დიდებულიძე-გამყრელიძისა, სიდომონოვისა, ბ.ბ. ვ. გამყრელიძე, დ. აწყურელი, თ. ი. ვახვახიშვილი, ა. გამყრელიძე და კ. ჰელიძე.

ორივე პიესამ საუცხოვოდ ჩაიარა, რადგანაც პირველს ამშვენებდა არტისტი ალექსი-მესხიშვილი და მეორეს კიდევ არტისტი ქალი მ. საფაროვი-აბაშიძისა.

ქ-ნმა დიდებულიძე გამყრელიძისამ შესაფერად შეასრულა თავისი როლი, უფრო კი კარგი იყო მესამე მოქმედებაში. ექიმის როლს ბ-ნი ვ. გამყრელიძე ასრულებდა, რომელმაც ხელოვნურად ჩაატარა, მიუხედავად იმისა, რომ კარგა დიდი როლი ჰქონდა. ხოლო დანარჩენნიც ხელს უწყობდნენ თავიანთი თამაშით პიესას.

„ბიძიასთან გამოხუმრება“ კარგად დაგვიხატეს და საზოგადოებასაც მოეწონა. მოქმედნი პირნი თავ. ბოერამი (გამყრელიძე), სანდრო ამისი ძმისწული (აწყურელი) და ნატო სანდროს საცოლო მ. საფაროვ აბაშიძისა ერთმანეთს სჯობდნენ თავიანთი როლის შესრულების დროს და საზოგადოებასაც ძლიერ მოეწონა, ნამეტნავად საფაროვ აბაშიძისა ბიძიასთან სიმღერის დროს, რის გამოც საზოგადოებამ ტაშის კვრით დააჯილდოვა; აწყურელი კიდევ ზარაფის დროს, როცა ბიძიას ფულს სთხოვს, ხოლო ბიძიამ კი უწინდელი თავადი შვილის სოფლიდან ქალაქში ჩასული სურათი ცოცხლად დაგვიხატა.

✦ მარტვილის სამკითხველოს გამგე გთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: «უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ ქ. ტფილისის მცხოვრებს ზაქარია კოხთაევს, რომელმაც ათი-მანეთი შემოსწირა მარტვილის უფასო წიგნთ,-საცავ-სამკითხველოს.»

---

# საღამოს დეპეშები

**26 აგვისტო**

**პეტერბურგი**. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება, რომლით დაწესდა ახალი თანამდებობანი სახალხო სკოლების ინსპექტორების და დირექტორებისა. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა იკისრა დროებით სამინისტროს მართვა. გენერალ ორლოვის რაზმი 15 აგვისტოს მივიდა დალანდუნში. ციციკარისკენ მოძრაობის დროს, 17 აგვისტოს, რაზმის უფროსთან მოვიდნენ ციციკარის ცზიან-ცზუნის გამოგზავნილი ჩინელები მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე მოსალაპარაკებლად. გენ. ორლოვმა მოსულნი უკანვე გაგზავნა ციციკარში, თან გააყოლა დამცველნი და დაავალა ურჩიონ მცხოვრებთ დაჰყარონ იარაღი და დაარწმუნონ, რომ მშვიდობიანობის მომხრე მცხოვრებს არავინ ხელს არ ახლებს. დაწინაურებული ცხენოსანი ჯარი შეუერთდა რენნენკამპფის ჯარებს.

საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიამ მიიღო პოლიარულ ექსპედიციის უროსის ტოლლისაგან შემდეგი დეპეშა: „25 აგვისტოს მოვედი იუგორსკში ბურთზე; ყინული ცოტაა. ზაფხული, ვპონებ, ჯეროვანი იქნება. დღეს მივდივარ კარსის ზღვაში, შევივლი ნავთ-სადგურ დისკონში. ჯერ საქმე კარგად მიდის.“

**კონსტანტინეპოლი.** გარეშე სამინისტროს მართველს გრაფ ლამზდორფს ებოძა ოსმანიე პირველი ხარისხის ბრილიანტის ორდენი, აგეთივე ჯილდო მიიღო მინისტრის ამხანაგმა ობოლენსკიმ.

**იოკოჰამა.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო დეპეშა, რომელიც იუწყება, რომ დიდი რაზმი „შავი დროში“-ს მომხრეთაგენ. ლიუს უფროსობით მიდის ჩრდილოეთისაკენ და გაიელიან ხუნანის და ხუბეს პროვინციებზე.

**ჰონკონგი.** ხმა მოვიდა, ვუნჩჟოუში დიდი არეულობა ჰსუფევსო. პრეფექტს და მასთან ას ჯარის კაცს გარს შემოჰხვევია ავაზაკთა ბრბო; ფრეფექტი თხოულობს შველას.

**ვაშინგტონი.** პარიზში ამერიკის ელჩად მყოფმა პორტერმა დეპეშით აუწყა გარეშე საქმეთა სამინისტროს, დელკასემ შემატყობინა, რომ იგი მზად არის რუსეთთან შეთანხმებით, გამოიყვანოს ჯარი პეკინიდან.

**ლონდონი**. აქაურმა სავაჭრო პალატამ მიიღო გონკონგის სავაჭრო პალატისაგან დეპეშა, რომელშიაც გონკონგის ვაჭრები აცხადებენ, რომ საჭიროა უცხოელთა ჯარების პეკინში დატოვება იმ დრომდე, ვიდრე არ დაინიშნება მთავრობა და არ დაისჯებიან დამნაშავენი. ამ დრომდე პეკინიდან ჯარების გაყვანა დაამცირებს ჩინეთის წინაშე უცხოელებსო.

**ბერლინი.** ტოკიოდან იაპონურ წყაროებიდან იტყობინებიან შანჰაიდან მიღებულ ამბავს: „7 აგვისტოს შანსიდან მოვიდა ბრძანება, რომელშიაც ბოგდიხანი გამოსთქვამს სინანულს და სიბრალულს ჩინეთთადმი, რომ მათ სრულიად უდანაშაულოდ გამოიარეს აუტანელი ტანჯვა. იგი მიჰმართავს ოფიციალურ წრეებს ამ სასოწარკვეთილების წამს და აღიარებს, რომ მხოლოდ იგია დამნაშავე და პასუხის მგებელი, და მოიწვევს ყველა უმთავრესს სახელმწიფო მოხელეთ, რაც შეიძლება მალე მოიკრიბონ თავი დროებით სასახლეში. საჭიროა დაცულ იქმნესო უცხოელთა აღებმიცემობა ზღვის პირის ქალაქებში. დასასრულ იმპერატორი გამოსთქვამს იმედს, რომ ჩინეთის ერი, მასთან ერთად, სიხარულით მიეგებება იმ ამბავს, რომ იმპერატრიცა, პეკინიდან წასვლის შემდეგ, უვნებლად იმყოფება.“

ფუჩჟოუდან იუწყებიან, რომ ლიუკეეში ბრბო თავს დაესხა ჩინელ ქრისტიანთ. მეზობელ ოლქებში მიმავალი გზები შეკრულია.

ლიუკეის ტაოტა დათხოვნილ იქმნა და მის ადგილას დაინიშნა ამოიას ტაოტას.

**ლონდონი**. რობერტსი იუწყება ბელფასტიდან 23 აგვისტოს, რომ გამილტონის რაზმმა გუშინ გაიარა დულსტრომი და მათ მხოლოდ სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს მოპირდაპირეებმა. რაზმი მიდის ლეიდენბურგისაკენ, სადაც ბულლერი მიჰსევია მტრის ჯარის მარცხენა ფრთას და მისი ზარბაზნების ხმა ესმის გამილტონის რაზმს. გამილტონს ჰსურს მოუაროს მტრის მარჯვენა მხარეს. კლემენტის და გარტის ცხენოსანი რაზმები ამ ჟამად მოქმედობენ კრიუგერს დორპის და იოჰანესბურგის ოქებში.

**ბერლინი.** „რეიშ ანცეიგერ“-ი იტყობინება, რომ პრუსიის სამინისტრომ გარდასწყვიტა დაადოს ბაჟი საზღვარ-გარეთიდან შემოტანილ ნახშირს. პრუსიის სახელმწიფო რკინის გზებს მოუვიდათ მიწერილობა სისრულეში მოიყვანონ ეს დადგენილება და აცნობონ აგრეთვე სხვა რკინის გზებსაც.

**ვენა.** გამოცხადა იმპერატორის ბრძანება, რომლით დათხოვნილ იქმნა დეპუტატთა პალატა და დაინიშნა ახალი არჩევნები.

**პეტერბურგი,** 25 აგვისტოს ბირჟა. 5% გირავ. ფურც. ტფ. საადგ.-მამ. ბანკისა გამყიდ. 97; $4^1/_2$%—$86^1/_2$ მყიდ. 6% გირავ. ფურც. ქუთ. საადგ..მამ. ბანკისა—$101^1/_2$ გამყ. 5%—$98^1/_2$ გამყ.

**პეტერბურგის ბირჟა 25 აგვისტოს**

| | მყიდველი | გამყიდველი | გაყიდული |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო | მ ა | ნ ა | თ ი |
| რენტა. . . . | — | — | 96 |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99^1/_2$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $97^1/_4$ | — |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | 321 | — | — |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 274½ |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 208¾ |
| 3½% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 89 | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4½% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ. - მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . . | — | — | — |
| 4% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | — | 86⁵/₈(?) |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

ხორცი ძროხისა . 1 გ. 8½ კ.
სუკი . . . . . . » — 15 კ.
» ცხვრისა . . . . » — 8½ კ.
» ღორისა . . . 1 — 8 კ.
» კამეჩისა » » » — 5 კ.
» ღორის ზარგა-
ლი სალორჯთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).
პური ფურნისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » 3½ »
» » III » » » 3 »
იგივე თორნისა I » » » 5 «
» » II » » » 4 »
» » III » » » 3½ »
ლავაში ჯკ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 «

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანდასწრებით შუადღეს 12 საათზე, 1900 წ. 28 აგვისტოს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გაკეთება აწ არსებულიდან ჭავჭავაძის ქუჩაზედ კარსელოვის სახლამდე ამავე ქუჩაზედ სიგრძით 26,00 საჟ. მილის განი—0,25×0,16 საჟ. 570 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, მდგომარე 1900 წელს 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც უნდა გაიცეს იჯარით მამა-დავითის ეკკლესიისაკენ მიმავალ გზის შემმაგრებელი კედლების აშენება,—სულ 12 კუბიკური საჟენი 900 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განისილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მდგომარე 1900 წლის 28-ს აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით შეკეთება ქალაქის სახლის გარეთა კედლისა (მიხეილის, სადაც ეხლა ტფილისის კრუჟოკია) გოლოვინის პროსპექტზე. მუშაობა ღირს სულ 1124 მან.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (ნ. 3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით შუადღის 12 საათზედ 1900 წ. 28 აგვისტოს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გაკეთება აწ არსებულიდან ოლღას ქუჩაზედ ბოლოტოვის სახლამდე მოსკოვის ქუჩაზედ და ჯავროვის სახლამდე მოსკოვის ვიწრო ქუჩამდე—სიგრძით სულ 190 საჟ.; განი მილისა ×,42,00,28 საჟ. და მეორე სიგრძით 50 საჟ. სიგანით 0,25×0,19 საჟ. —სულ 6780 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, 28 აგვისტოს 1900 წ., შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, უსუფთაო მილის გასაკეთებლად აწ არსებულიდან ნოვო-არსენალნი ქუჩაზე გრიქუროვის სახლის ალაყაფის კარამდე პანასევის ქუჩაზე, სიგრძით 74,00 საჟ, სიგანით 0,42×0,25 საჟ. 1749 მანეთისა.

ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან განიხილის დაწვრილებითი პირობები გამგეობის მესამე განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევს 3-მდე. (ნ. 3—3)


## უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევა

### დამზღვევ საზოგადოებაში

# „როსსია“-ში

საზოგადოება „როსსია“ სასარგებლო პირობებით:

**აზღვევს** კერძო პირთ ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან, იმ პირობით, რომ ყველა მის მიერ შემოტანილი პრემია დაუბრუნდეს, და უამპირობოდაც.

**აზღვევს** მგზავრებს რკინის გზებითა და ზღვითა და მდინარეთა გზებით მოსიარულეთ მთელის სიცოცხლის განმავლობაში, ერთის წლით და ნაკლების ვადითაც.

**აზღვევს** ერთობლად ყოველგვარ უბედურ შემთხვევისაგან მთავრობის, საზოგადოებრივ დაწესებულებათა და სამრეწველო და საკომერციო საწარმოებლებში მოსამსახურეთ.

**აზღვევს** ერთობლად ფაბრიკებისა, ქარხნებისა, შენობებისა და სხვა სამრეწველო საწარმოებლების მუშათა.

მიეცემათ დაშავებულთ უბედურ შემთხვევისაგან

ხასყიდელი 4.500,000 მან. მეტი

მსურველთა განცხადება დაზღვევის შესახებ მიიღება და ყოველგვარი ცნობები მიეცემა საზოგადოების გამგეობაში ს.-პეტერბურგს (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), საზოგადოების ტფილისის განყოფილებაში (სერგიევის ქუჩა, № 6) და საზოგადოების აგენტებისაგან იმპერიის ყველა ქალაქში.

**მგზავრთა დაზღვევა** შეიძლება აგრეთვე

**რკინის გზების მთავარ-სადგურზედა და გემ-ხომალდთა მთავარ ნავთ-სადგურებზე.** 4—6—2


გამომც. გ. ჯუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Августа 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ას. განჯის დიდი ქუჩა, № 27.